


11



გლობალური გეოგრაფია

ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი



ზურაბ დავითაშვილი
ნოდარ ელიზბარაშვილი

გეოგრაფიული გეობრაფია

XI კლასი

მოსწავლის წიგნი





გლობალური გეოგრაფია XI კლასი

ზურაბ დავითაშვილი
ნოდარ ელიზბარაშვილი

რედაქტორები: **იამზე ეცეცაძე**
პედაგოგიკის დოქტორი
დარეჯან ფალავა
პედაგოგი

კომპიუტერული
უზრუნველყოფა: **ნუგზარ არჩემაშვილი**

- © გამომცემლობა „კლიო“ 2012
- © გამომცემლობა „მერიდიანი“ 2012
- © გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“ 2012
- © ზ. დავითაშვილი, ნ. ელიზბარაშვილი, 2012

ყველა უფლება დაცულია

Zurab Davitashvili
Nodar Elizbarashvili
GLOBAL GEOGRAPHY
11th Grade Textbook



გამომცემლობა „კლიო“

აღმაშენებლის გამზირი 181, თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 234 04 30
E-mail: book@klio.ge
www. klio. ge



გამომცემლობა „მერიდიანი“

აღ. ყაზბეგის გამზ. 47, თბილისი, 0112, საქართველო
ტელ.: (+995 32) 239 15 22



გამომცემლობა „ქართული ბიოგრაფიული ცენტრი“

ბაკურიანის 2, თბილისი, 0176, საქართველო
ტელ.: (+995 32) 240 92 40

ISBN 978-9941-415-99-9



შინაარსი

I თავი. გლობალიზაცია

1.1. გლობალიზაციის ცნება. გლობალიზაციის ინდექსი..... 5

1.2. გლობალიზაციის ისტორიული ანალოგები..... 9

1.3. გლობალიზაცია და სხეულფიფო.....14

1.4. გლობალიზაცია და საერთაშორისო ურთიერთობები.....18

1.5. ეკონომიკის გლობალიზაცია 22

1.6. კულტურის გლობალიზაცია..... 26

1.7. გლობალიზაცია: სიკმეთი და საფრთხე..... 30

1.8. გლობალიზაცია და საქართველო...33

II თავი. გლობალური პრობლემები: ჯოგადი სურათი

2.1. გლობალური პრობლემების არსი და სახეები..... 37

2.2. საერთაშორისო თანამშრომლობა გლობალური პრობლემების გადაჭრისათვის..... 40

2.3. გლობალური პრობლემები და საქართველო..... 44

III თავი. გლობალური პოლიტიკური პრობლემები

3.1. მუვიდობის შენარჩუნებისა და განიარაღების პრობლემა..... 48

3.2. შვიარაღებული კონფლიქტები, როგორც გლობალური პრობლემა..... 52

3.3.საერთაშორისო ტერორიზმი – გლობალური პოლიტიკური პრობლემა...56

3.4. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის პრობლემები..... 60

IV თავი. გლობალური ეკონომიკური და სოციალური პრობლემები

4.1 სანედლეულო პრობლემები..... 64

4.2 სათბობ-მენარგეტიკული პრობლემები..... 67

4.3. სასურსათო პრობლემები: შიმშილის გეოგრაფია..... 71

4.4. სიღარიბის პრობლემა..... 75

4.5. ჯანმრთელობის დაცვის პრობლემები..... 79

4.6. ბანათლეების პრობლემები..... 83

4.7. კრიმინალური პრობლემები. დანაშაულის გეოგრაფია..... 87

4.8. განვითარებადი ქვეყნები: ეკონომიკური ჩამორჩენილობის პრობლემა..... 91

V თავი. გლობალური დემოგრაფიული პრობლემები

5.1. მოსახლეობის ბუნებრივი მოძრაობა, როგორც გლობალური პრობლემა..... 96

5.2. მიგრაციის პრობლემები.....100

5.3. მოსახლეობის ტერიტორიული განლაგებისა და განსახლების პრობლემები.....104

5.4. ურბანიზაციისა და ქალაქების პრობლემები.....108

5.5. დემოგრაფიული პოლიტიკა.....112

VI თავი. გლობალური ეთნიკური, რასობრივი და რელიგიური პრობლემები

6.1 ეთნიკური პროცესები.....116

6.2. ეთნიკური დაკავშეობა და ეთნოკონფლიქტები.....120

6.3. რასიზმი და რასობრივი პრობლემები.....123

6.4. რელიგიური პრობლემები და დაპირისპირებები.....127

6.5 ნაციონალიზმის პრობლემები გლობალიზაციის ქრავში.....130

6.6. ეთნოკულტურული იდენტობა, მუსტირნიზაცია და ცივილიზაციათა დაპირისპირება.....133

VII თავი. გლობალური ეკოლოგიური პრობლემები

7.1. გეოგრაფიული ბარემო და საზოგადოება.....137

7.2. ბუნებათსარგებეობა და ეკოლოგიური პრობლემები.....140

7.3. ბუნებრივი რესურსების გამოყენებასთან დაკავშირებული პრობლემები.....143

7.4. სათბობ-მენარგეტიკული რესურსების გამოყენების ეკოლოგიური პრობლემები.....146

7.5. ქალაქების ეკოლოგიური პრობლემები.....151

7.6. ლითონფეროს განვითარების თავისებურებაანი და მასთან დაკავშირებული პრობლემები.....156

7.7. მთები და მასთან დაკავშირებული პრობლემები.....159

7.8. ატმოსფერო დაბინძურება.....163

7.9. კლიმატის გლობალური ცვლილებები.....167

7.10. წყლის რესურსების მოსარება.....170

7.11. წყლის დაბინძურება – გლობალური პრობლემა.....172

7.12. მსოფლიო ოკეანე და მასთან დაკავშირებული პრობლემები.....176

7.13. ნიადაგის ფუნქციები და მიწის რესურსების გამოყენების პრობლემები...181

7.14. ნიადაგის მროზია და გაუდაბნობა 186

7.15. ბიოსფეროს გეოგრაფიული თავისებურებაანი. ბიომრავალფეროვნება...188

7.16. ტყის რესურსების გამოყენება და მასთან დაკავშირებული პრობლემები...192

7.17. ბუნებრივი კატასტროფები.....196

7.18. ტექნოგენური კატასტროფები.....202

VIII თავი. გლობალური პრობლემები: მომავლის პერსპექტივები

8.1. გლობალური პროგნოზირება. მომავლის ეკოლოგიური პროგნოზი.....205

8.2. მომავლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური პროგნოზები 208

8.3. მომავლის დემოგრაფიული და ეთნოკულტურული პროგნოზები.....212

I. თავი. გლობალიზაცია

1.1. გლობალიზაციის ცნება. გლობალიზაციის ინდექსი



ნახ. 1.1.1 გლობალიზაცია — თანამედროვე ეპოქის შინაარსი

გლობალიზაციის არსი და ნიშნები. გლოკალიზაცია

დღეს ტერმინი „გლობალიზაცია“ ერთ-ერთი ყველაზე და ფართოდ გავრცელებული ცნებაა. დღევანდელ სამყაროს უწოდებენ გლობალურ სამყაროს, ეპოქას – გლობალიზაციის ეპოქას, ხოლო თანამედროვე პერიოდის ძირითად დაპირისპირებად ლამის „გლობალისტებისა“ და „ანტიგლობალისტებს“ შორის წინააღმდეგობა მიიჩნეონ.


ტერმინი „გლობალიზაცია“ XX საუკუნის 80-იან წლებამდე საერთოდ არ არსებობდა. იგი პირველად 1983 წელს გამოჩნდა და ამ ტერმინით ცალკეულ პროდუქტთა ბაზრების შერწყმის მოვლენა აღინიშნა. ხოლო გლობალიზაცია იმ ფართო მნიშვნელობით, რომელიც **ერთიანი მსოფლიო საზოგადოების ჩამოყალიბებას, ეროვნულ და სახელმწიფოებრივ განსხვავებების თანდათანობით წაშლას, საზღვრებისა და შეზღუდვების გაუქმებას გულისხმობს**, 1990 წლიდან გამოიყენება. ამ ტერმინში გააერთიანეს ყველა ის პროცესი, რომელთა წყალობით მსოფლიოს ხალხები ერთიან მსოფლიო საზოგადოებად ყალიბდებიან.

განასხვავებენ გლობალიზაციის ხუთ სხვადასხვა შინაარსობრივ დატვირთვას. პირველია **ინტერნაციონალიზაცია**, როცა გლობალიზაციაში გულისხმობენ სახელმწიფოთა შორის კავშირების გააქტიურებას და საზღვრების როლის განუხრელ შემცირებას; მეორეა **ლიბერალიზაცია**, რაც გამოიხატება ღია ინტეგრირებულ ეკონომიკაში და მოსახლეობის თავისუფალ მიმოსვლაში; მესამე მნიშვნელობით გლობალიზაცია არის **უნივერსალიზაცია** ანუ მატერიალური თუ სულიერი ღირებულებების ფართოდ გავრცელება მსოფლიოს ნებისმიერ

კუთხეში; მეოთხე მნიშვნელობით (ასე აღიქმება ის განვითარებად ქვეყნებში და განსაკუთრებულ გაღიზიანებას იწვევს) გლობალიზაცია არის დასავლური ცივილიზაციის როლის გაბატონება ანუ **ვესტერნიზაცია** და პირველ რიგში მისი ამერიკული ფორმა; დაბოლოს, გლობალიზაცია განიხილება **დეტერიტორიზაციის** მნიშვნელობით, როცა გეოგრაფიული ადგილმდებარეობა, მანძილი და ტერიტორიული საზღვრები თავიანთ პირვანდელ მნიშვნელობას კარგავს.

ზემოთქმულიდან ჩანს, რომ გლობალიზაციის უმთავრესი ნიშანი არის სახელმწიფო და ეროვნული საზღვრების მოშლა, ეროვნული ეკონომიკის – გლობალური ეკონომიკით, ეროვნული კულტურის – გლობალური კულტურით, ხოლო ეროვნული ცნობიერების გლობალური ცნობიერებით შეცვლა.

ცხადია, ეს ძალზე რთული და მტკივნეული პროცესია. გარდაუვალია, ერთი მხრივ, გლობალური პოლიტიკური, ეკონომიკური თუ კულტურული პროცესების და, მეორე მხრივ, ადგილობრივი (ლოკალური) ინტერესების თანაარსებობა, რომლებიც ზოგჯერ ავსებენ, ხშირ შემთხვევაში კი, უპირისპირდებიან ერთმანეთს. ამიტომ გლობალიზაცია სხვადასხვა რეგიონში სხვადასხვაგვარად ვლინდება. გლობალური



ნახ. 1.1.2 გლობალიზებული მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით



პროცესების რეგიონული განვითარების სცენარის, მათ ლოკალური თავისებურებების გამო-სახატავად გამოიყენება სპეციალური ტერმინი – გლოკალიზაცია.



ნახ. 1.1.3. მსოფლიო გლობალიზაციის ტყვეობაში

კითხვები

1. რამ გამოიწვია გლობალიზაციის ფენომენის წარმოშობა მაინცდამაინც 80-იან წლებში?
2. რას უკავშირდება ტერმინ „გლობალიზაცია-ის“ შინაარსის განვრცობა?

გლობალიზაცია: მითი თუ რეალობა?

გლობალიზაცია, როგორც ძალზე რთული და წინააღმდეგობრივი პროცესი, შეუძლებელია ცალსახად შევაფასოთ და გამოკვეთილად პროგრესულ ან ნეგატიურ მოვლენად მივიჩნიოთ. ამიტომ არ არის გასაკვირი, რომ გლობალიზაციის პროცესების მკვლევართა შორის დიამეტრიულად განსხვავებული თვალსაზრისი არსებობს.

გამოყოფენ მკვლევართა სამ კატეგორიას: **ჰიპერგლობალიზტებს, ტრანსფორმაციონისტებს და სკეპტიკოსებს.**

ჰიპერგლობალიზტები ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია თვისობრივად სრულიად ახალი ერაა კაცობრიობის ისტორიაში, რომელსაც თამამად შეიძლება ეწოდოს გლობალური ერა. მათი აზრით, ერი-სახელმწიფოების ეპოქა დამთავრდა. ეკონომიკურმა გლობალიზაციამ წარმოების, ვაჭრობისა და ფინანსების ტრანსნაციონალური ქსელის ჩამოყალიბების მეშვეობით ეკონომიკის დენაციონალიზაცია გამოიწვია. ეს არის საზღვრებს გარეშე ეკონომიკა, რომელსაც ემორჩილება სახელმწიფო. შესაბამისად, ეროვნული სახელმწიფოს როლი განუხრელად სუსტდება, იშლება ძველი იერარქია, ჩნდება და ძლიერდება ახალი

ფასეულობები, რაც ერთიანი, გლობალური ცივილიზაციის ჩამოყალიბების წინაპირობას ქმნის.

თვით ჰიპერგლობალიზტებიც არაერთგვარონად აფასებენ გლობალიზაციის პროცესს: თუ **ნეოლიბერალები** პროგრესულად მიიჩნევენ საბაზრო პრინციპების დომინირებას სახელმწიფო ხელისუფლებაზე, **ნეომარქსისტები** თანამედროვე გლობალიზაციის გლობალური კაპიტალიზმის ნათელ გამოვლინებას უწოდებენ. მაგრამ, მიუხედავად იდეოლოგიური განსხვავებისა, ორივე თანხმდება, რომ გლობალიზაცია, უპირველეს ყოვლისა, ეკონომიკური მოვლენაა, რომელზეც დამოკიდებულია პოლიტიკა. ასე რომ, გლობალიზაციის ეპოქაში პოლიტიკა შესაძლებლობის ხელოვნებიდან აშკარად გამოხატულ „ეკონომიკურ მენეჯმენტად“ იქცა.

სკეპტიკოსებს თავიანთი მოსაზრებების დასადასტურებლად ხშირად მოჰყავთ სტატისტიკური მონაცემები და დღევანდელ ვაჭრობის, ინვესტიციების და სამუშაო ძალის ნაკადების ინტენსივობას XIX საუკუნის დასასრულის ანალოგიურ მონაცემებს ადარებენ. ამ მონაცემების საფუძველზე აკეთებენ დასკვნას, რომ თანამედროვე გლობალიზაცია სრულიადაც არ არის ისტორიულად უპრეცედენტო მოვლენა. აშკარაა მხოლოდ ეკონომიკის ინტერნაციონალიზაცია, ანუ ურთიერთობების ინტენსივაცია ნაციონალურ ეკონომიკებს შორის, რაც შეეხება ეკონომიკური კავშირების ინტენსივობაც, დღეს ის გაცილებით ნაკლებია, ვიდრე 1870-1914 წლებში იყო. ასე რომ, გლობალიზაცია მითია და ეროვნული სახელმწიფო ეკონომიკის წარმმართველ მთავარ ძალად რჩება. საერთაშორისო ეკონომიკაში კი გლობალიზაციის ნაცვლად საქმე გვაქვს რეგიონალიზაციას-



ნახ. 1.1.4. ანტიგლობალიზტების დემონსტრაცია



ნახ. 1.1.5. სინგაპური — მსოფლიოს ერთ-ერთი ყველაზე გლობალიზებული ქვეყანა

თან, რადგან მსოფლიო ეკონომიკა ვითარდება სამი მთავარი სავაჭრო და საფინანსო ბლოკის მიმართულებით – ჩრდილოეთ ამერიკა, ევროპა, აზია – წყნარი ოკეანური სარტყელი.

სკეპტიკოსებისთვის სრულად მიუღებელია მოსაზრება ერი-სახელმწიფოების ეპოქის დასრულებისა და ახალი არასახელმწიფოცენტრული მსოფლიო წესრიგის ჩამოყალიბების თაობაზე. მათი აზრით სახელმწიფო არის და იქნება მსოფლიო პოლიტიკის ძირითადი აქტორი. მასზე დამოკიდებული თვით გლობალიზაციის პროცესის მომავალი; ეროვნული ინტერესები კი სახელმწიფოს ქმედების მთავარი ფაქტორია და კერძონი გლობალური ინტერესი მას ვერ შეცვლის. სკეპტიკოსებისთვის ისტორიის დასასრულის იდეა, ანუ ლიბერალურ-დემოკრატიული იდეების მთელ მსოფლიოში გაბატონება უტოპიაა და მსოფლიოს დაყოფა რეგიონულ ბლოკებად და ცივილიზაციათა დაპირისპირება გარდაუვალია.

ტრანსფორმაციონისტების აზრით, გლობალიზაცია ახალი ათასწლეულის დასაწყისის ცენტრალური მოვლენაა, რომელიც სწრაფ სოციალურ, პოლიტიკურ, ეკონომიკურ ცვლილებებს იწვევს და თანამედროვე საზოგადოებისა და ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმი-

რებას განაპირობებს. ისინი უფრო „ზომიერი“ გლობალისტები არიან და თუმცა ძირითად საკითხებში ეთანხმებიან ჰიპერგლობალისტებს, ზოგჯერ სკეპტიკოსების ცალკეულ მოსაზრებებსაც იზიარებენ.

კერძოდ, ტრანსფორმაციონისტები არ იზიარებენ ჰიპერგლობალისტების მოსაზრებას იმის თაობაზე, რომ თანამედროვე პერიოდი გლობალური ერაა, მაგრამ გლობალიზაციას არც მითად აღიქვამენ. მათი აზრით, გლობალური ურთიერთდამოკიდებულება არავითარ ეჭვს არ იწვევს. ისინი აღიარებენ, რომ სახელმწიფოების როლი თანამედროვე გლობალიზაციის პირობებში შემცირდა, მაგრამ სახელმწიფოთა სისტემის კვლამაზე ლაპარაკი ყველანაირ საფუძველს არის მოკლებული. სახელმწიფოთაშორისო და რეგიონთაშორისო ურთიერთობები კვლავაც დიდ როლს ასრულებენ, მაგრამ გლობალიზაციის პროცესის გავლენით ისინიც ტრანსფორმაციას განიცდიან. ამგვარად, თანამედროვე საერთაშორისო გარემო სახელმწიფოთა, რეგიონებისა და გლობალიზაციური პროცესების რთული სინთეზია, რაც თანამედროვე მსოფლიო პოლიტიკის უადრესად რთულ და წინააღმდეგობრივ ხასიათს განსაზღვრავს.


რაც შეეხება მოსახლეობის ძირითად მასას, გლობალიზაციის გავლენა მათ ყოველდღიურ ცხოვრებაზე თვალსაჩინოა და ბუნებრივია, როგორც ყველა რთული პროცესი, არაერთგვაროვან რეაქციას იწვევს. ამის მიხედვით მოსახლეობა იყოფა ჯგუფებად: ერთნი პოზიტიურად აფასებენ ამ პროცესს და მათ პირობითად შეიძლება **გლობალისტები** ვუწოდოთ; მათგან განსხვავებით, მეორე ნაწილი უარყოფითად აფასებს გლობალიზაციის შედეგებს და აშკარა **ანტიგლობალისტების** კატეგორიას მიეკუთვნება. მოსახლეობის მესამე ნაწილი კი ნეიტრალურ პოზიციაზე რჩება.

კითხვები

1. რა არგუმენტებს იშველიებენ სკეპტიკოსები, როცა ამტკიცებენ, რომ გლობალიზაცია მითია?
2. რა საერთო და განმასხვავებელი შეხედულება აქვთ ჰიპერგლობალისტებსა და ტრანსფორმაციონისტებს?

დავალება

ჩამოაყალიბეთ თქვენი პირადი მოსაზრება გლობალიზაციის პროცესის შესახებ.



ნახ. 1.1.6. გლობალიზაციის მსოფლიო ინდექსი

გლობალიზაციის ინდექსი

გლობალიზაციის პროცესის ინტენსივობის გამოსახატავად, ანუ იმის აღსანიშნავად, თუ რამდენად ესა თუ ის ქვეყანა ჩაბმულია გლობალიზაციის პროცესში, გამოიყენება სპეციალური სიდიდე – გლობალიზაციის ინდექსი. იგი აღნიშნავს ქვეყნის ჩაბმულობის ხარისხს მსოფლიო პოლიტიკურ, ეკონომიკურ, სოციალურ, კულტურულ, ტექნოლოგიურ და ეკოლოგიურ პროცესებში. გლობალიზაციის ინდექსი იზომება ასბალიანი სისტემით.

2010 წლის მონაცემებით, **გლობალიზაციის უმაღლესი ინდექსის** მიხედვით პირველ ადგილზე იყო ბელგია (92,9). მას მოსდევდნენ ავსტრია (92,5), ნიდერლანდები (91,9) და შვეიცარია

(90,5). უკანასკნელ ადგილებს ინაწილებდნენ სოლომონის კუნძულები (26,3), კირიბატი (25,5) და მიანმა ანუ ბირმა (20,7). საქართველო ამ მაჩვენებლით (61,3) მსოფლიოს 181 სახელმწიფოს შორის 69-ე ადგილზეა.


განაწილება ხდება ცალკეული მიმართულებების მიხედვითაც. **ეკონომიკური** კუთხით ყველაზე გლობალიზებული ქვეყანაა სინგაპური, მეორე და მესამე ადგილებზე ირლანდია და ლუქსემბურგი არიან. ბოლო ადგილებს კი ჩრდილოეთი კორეა, კუბა და კაბო-ვერდე იყოფენ. საქართველო ეკონომიკური ინდექსით მსოფლიოში 30-ე სახელმწიფოა.

პოლიტიკური გლობალიზაციის მიხედვით ლიდერობენ საფრანგეთი, ბელგია და იტალია, ხოლო აუტსაიდერები არიან ბუტანი და კირიბატი. საკმაოდ უკან არის საქართველოც (138-ე ადგილი).

რაც შეეხება **სოციალურ** გლობალიზაციას, აქ პირველ სამეულს ქმნიან შვეიცარია, ავსტრია და კანადა, ხოლო სიის ბოლოს არიან პალაუ, აღმოსავლეთ ტიმორი და ჩრდილოეთ კორეა. საქართველო ამ მონაცემით 94-ე სახელმწიფოა.

დავალება

ახსენით, რატომ აქვს საქართველოს გლობალიზაციის შედარებით მაღალი ინდექსი ეკონომიკაში და დაბალი მაჩვენებელი პოლიტიკური გლობალიზაციის კუთხით.



ნახ. 1.1.6. გლობალიზაციის ინდექსი მსოფლიოს ქვეყნების მიხედვით. 2008 წ.



ნახ. 8.3.6. ვესტერნიზაცია არაბულ სამყაროში კულტურის ჰიბრიდიზაციით გამოიხატება.

ზაციაც, ფაქტობრივად, ამერიკანიზაციის სინონიმია.

საკმაოდ ბევრი მიმდევარი ჰყავს მოსახრებას, რომ გლობალიზაცია კულტურის ჰომოგენიზაციას კი არა, პირიქით, **პოლარიზაციას**, ანუ ეროვნულ კულტურათა მკვეთრ დაპირისპირებას გამოიწვევს. მიმდინარე ვესტერნიზაციის პროცესი და ეთნიკურ-კულტურული თვითმყოფადობის დაკარგვის საფრთხე სულ უფრო აძლიერებს ანტიდასავლურ განწყობებს სხვა ცივილიზაციებში, ხოლო თვით დასავლური ცივილიზაციის შიგნით, ერთი მხრივ, ანტიამერიკული განწყობა ძლიერდება, მეორე მხრივ კი ქსენოფობიური დამოკიდებულება არადასავლური ცივილიზაციების მიმართ. ამ პირობებში მოსალოდნელია, რომ თითოეული ეროვნული კულტურა თავის თავში ჩაიკეტოს და თვითდაცვის მიზნით მტრული პოზიცია დაიკავოს სხვა კულტურიდან მომავალი ნოვაცი-

ების მიმართ. მოხდება კულტურათა იზოლაცია და მათი დაპირისპირება, რაც საბოლოოდ ცივილიზაციათა შეჯახებაში გადაიზრდება. ამის ნიშნები უკვე ჩანს ბევრ ისლამურ ქვეყანაში, სადაც სახელმწიფოს დონეზე იკრძალება დასავლური კულტურის მთელი რიგი სახეობების იმპორტირება, ხოლო ადგილობრივი რელიგიური და საზოგადოებრივი მოღვაწეები დასავლეთს (განსაკუთრებით აშშ-ს) დიდ სატანად მიიჩნევენ, რომელიც განადგურებით ემუქრება ისლამურ კულტურას და „ჭეშმარიტ პატრიოტებსა და მართლმორწმუნეებს“ მის წინააღმდეგ საღვთო ომისკენ მოუწოდებენ.

მკვლევართა მესამე ნაწილი თვლის, რომ შეუძლებელია როგორც კულტურათა სრული ჰომოგენიზაცია, ისე სრული პოლარიზაცია. უფრო მოსალოდნელი კულტურათა ერთგვარი **ჰიბრიდიზაციაა**, რაც ეროვნული კულტურების თავისებურ შერწყმას გულისხმობს და რაც, ფაქტობრივად, ყოველთვის ხდებოდა კიდევ. გლობალიზაციის ეპოქაში შეუძლებელია კულტურათა იზოლაცია. ამიტომ გარდაუვალია კულტურათა მუდმივი ურთიერთშეხება და ურთიერთგამდიდრება. ნებისმიერი ეროვნული კულტურა შეინარჩუნებს ეროვნულ სახეს, მაგრამ იგი შეივსება სხვა კულტურებიდან (პირველ რიგში, დასავლური კულტურიდან) შემოსული სიახლეებით. ზოგადისა და ეროვნულის თავისებური სინთეზი იქნება კიდევ მსოფლიოს ხალხთა კულტურების სახე მომავალში, რაც არათუ საფრთხეს არ შეუქმნის ეროვნულ თვითმყოფადობას, არამედ უფრო მრავალფეროვანს გახდის მას.



კითხვები

1. რაში მდგომარეობს კულტურის გლობალიზაციის პრობლემა?
2. როგორ გეხსებათ კულტურის ჰომოგენიზაციის პერსპექტივები?
3. იზიარებთ თუ არა კულტურათა პოლარიზაციის პიპოთეზას და რატომ?

დავალება

იმსჯელეთ ქართული კულტურის მომავალზე გლობალიზაციის პროცესში.

ნახ. 8.3.7. ცივილიზაციათ დიალოგი ცივილიზაციათა შეჯახების ნაცვლად